

შორსმსროლელი (400 კმ-მდე) მძიმე (კალიბრი 425 მმ)
რეაქტიული საარტილერიო სისტემის შექნის

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

იოსებ ჩიკვაშვილი
5 97 00 89 59

თბილისი, 2013

წინასიტყვაობა

2008 წლის ომმა დაგვანახა რომ საქართველოს შესაძლებლობა გამოიყენოს მოიერიშე ავიაცია არის შეზღუდული. ეს გამოწვეულია პოტენციური მოწინააღმდეგის უნარით გაანადგუროს ბაზირების ადგილები.

მაგრამ დღეს ბაზარზე გამოჩნდა რამდენიმე მძიმე დიდი სიშორის რეაქტიული ზალპური ცეცხლის სისტემა.

მაგალითად, ჩინური **WS-2D**:



მაქსიმალური სიშორით 400 კმ.

კალიბრი. მმ	425
რაკეტის სიგრძე. მეტრი	8,1
რაკეტის სასტარტო მასა. კგ	1555
ქოზინის მასა. კგ	200
სროლის მაქსიმალური მანძილი. კმ	400
გაბნევა	1/600
შექუჩულობა	0,17%
მიმმართველების რაოდენობა	6
საბრძოლო მდგომარეობაში გადასვლის დრო. წთ	12
რაკეტის მართვის სისტემის ტიპი	ინერციული
ქოზინის ტიპი	• კასეტური • მსხვრევადი • თერმოზარული

და ამგვარ სისტემებს სავსებით შეუძლიათ შეცვალონ მოიერიშე ავიაცია!

გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვაქვს მომზადებული წინადადება შეიქმნას ქართული ჯარისთვის 122 მმ-იანი ზალპური ცეცხლის სისტემის შექმნაზე (იხილე დანართი).

და სისტემის შექმნისას არ არსებობს პრინციპიალური განსხვავება რა ზომის სისტემა იქმნება. მეტიც - უნდა ითქვას, რომ დიდი კალიბრის სისტემის შექმნა უფრო ადვილია, რამე თუ იგი ნაკლებად კრიტიკულია მაკომპლექტებელი ნაწილების ზომის და მათი განლაგების ეფექტურობის მიმართ.

მაგალითად, თუ მივალწევთ ისრაელის წარმოების მაღალი სიზუსტის გიროსკოპების შეძენას, გაზნევის მაჩვენებელი ნაცვლად 1/600-ისა შეიძლება იქნას შემცირებული 1/2000-ამდე, რაც მაქსიმალურ სიშორეზე სროლის შემთხვევაში შეესაბამება CEP-ს 200 მ.

ქობონების ტიპები

მსხვრევად-ფუგასური

ჩვენ შეგვიძლია დავაპროექტოთ მსხვრევად-ფუგასური ქობინი აღჭურვილი გარეშე ტიტანის შენადნობის კორპუსიდან შიგნით პოლიმერულ მატრიცაში მოთავსებული მზე ვოლფრამის ნამსხვრევებით (ბურთულებით):

მაჩვენებელი. ერთეული	მნიშვნელობა
ფეთქი ნივთიერების ტიპი	Composition B
ქობინის მასა. კგ	120
ნამსხვრევის (ბურთულის) ზომა. მმ	8
ნამსხვრევის (ბურთულის) წონა. გ	4.583
ნამსხვრევების რაოდენობა	10900
ნამსხვრევების საერთო მასა. კგ	50
ფეთქი ნივთიერების მასა. კგ	120
ფეთქი ნივთიერების მოცულობა. ლ	72.8
კორპუსის და პოლიმერის მატრიცის საერთო მასა. კგ	30
ნამსხვრევის საწყისი სიჩქარე. მ/წ	2500
ნამსხვრევის დაყვანილი ენერგია. J/mm ²	285
ნამსხვრევის გახვრეტის უნარი. მმ RHA	35-40

ორრეჟიმიანი დეტონატორები:


- ჰაერში აფეთქება (რადიო-რეჟიმი)
- დარტყმიდან აფეთქება

მოქცემს საშუალებას გავანადგუროთ ყველა ტიპის სამიზნე ტანკების გარდა.

ტანკებს კი საკმარისი ცეცხლის სიმკვრივის შემთხვევაში ჰაერში აფეთქება გამოუყვანს მწყობრიდან ყველა გარეშე მოწყობილობას - ERA-ს ბლოკებს, მუხლუხებს, სამიზნეებს, საწვავის გარეშე ავზებს, ა.შ.





ტანკი „ცენტურიონი“ 155 მმ-იანი საარტილერიო ჭურვის ნამსხვრევების ზემოქმედების შემდეგ (ჰაერში ახლო (10 მ) აფეთქება)



უკრაინული ტანკი „Оплот“-ის დაზიანებადი გარეშე მოწყობილობა

დისტანციური დანადგრის

შეიძლება აგრეთვე იქნას დაპროექტებული დისტანციური დანადგრის ქობინი, მაგალითად, Смерч-ის ტიპის სისტემის 9M55K4 ჭურვის ანალოგი:



იტევს 25 ცალ ПТМ-3 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს. ქობინი იწონის 280 კგ.

ანუ, სავსებით შესაძლებელია ჩავატოთ 200 კგ-იან ქობინში 15-16 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი.

ასეთი ქობინის გამოყენება მისცემს ქართულ ჯარს შესაძლებლობას შეზღუდოს მოწინააღმდეგის მანოვრი, შეაჯგუფოს იგი და შემდეგ გაანადგუროს მსხვრევად-ფუგასური ჭურვებით.